# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 97

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის „12" „აგვისტოს" ქ. თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **საკუთარი სახსრებით,** გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი - 71631000).

**ერთის მხრივ** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „ავტოტესტ-გეორგია" (შემდგომში **მიმწოდებელი**) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვაჟა იორდანიშვილის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, რიგის ქუჩა № 3/43, ბინა № 29. (ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.). ს/კ 204903747. **ტელ:** 2531009. **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ნ GE95TB0677636020100001. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები*

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### *მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი*

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სააგენტოს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალების, ნახევარმისაბმელიანი უნაგირა საწევარის (KAMAZ სახელმწიფო ნომერი GN-477-FA და მისაბმელი სახელმწიფო ნომერი CHMZAP AV-304-V), გზისთვის ვარგისიანობის ტესტირებისა და ტექნიკური ნებართვის გაცემის მომსახურება (ტექ.დათვალიერება).
2.2 ტესტირების ჩატარების შემდგომ მიმწოდებელმა უნდა გასცეს შესაბამისი ნებართვის ბარათი.

### *მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება*

3.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **178 (ასსამოცდათვრამეტი)** ლარს.
3.1.1 უნაგირა საწევარის (KAMAZ სახელმწიფო ნომერი GN-477-FA) ტესტირების ღირებულება შეადგენს: 121 (ასოცდაერთი) ლარს;
3.1.2 მისაბმელის (სახელმწიფო ნომერი CHMZAP AV-304-V) ტესტირების ღირებულება შეადგენს: 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### *მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები ვადები და ადგილი*

4.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 ტესტირების ბარათი და შესაბამისი ფირნიშის გაცემა უნდა მოხდეს მიმწოდებლის მისამართზე ქ.აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
4.3 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შესაბამისად.

### *მუხლი 5. მხარეთა უფლება-ვალდებულებები*

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
5.1.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;
5.1.3 ტექნიკურად უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს შემსყიდველს თავად შემსყიდველმა განახორციელოს ყოველი შემდგომი ან/და უკვე არსებული მომხმარებლის დამატება ან/და გაუქმება;
5.1.4 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
5.2.1 დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
5.2.2 გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

## მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდბელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინასწარ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი მომსახურება ან მისი ნაწილი;

10.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

10.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სტუდიო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი პავლე ქალიაშვილი და ამავე სამმართველოს სპეციალისტი ლევან გელბახიანი (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).

11.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

11.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

11.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ან/და მოთხოვნებს (მ.შ. – ვალდებულებებს).

11.2.3 უზრუნველყოს მომსახურების მიღება.

11.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

11.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 12. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

12.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.

12.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ ეროვნული სტუდიო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ან ამავე დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

## *13. ფორს-მაჟორი*

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## *14. სადაო საკითხების გადაწყვეტა*

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## *15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის და ბეჭდით დამოწმების დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ---------- | ---------- |
| ირაკლი გოდუაძე | ვაჟა იორდანიშვილი |
| სააგენტოს უფროსის მოადგილე | შ.პ.ს. „ავტოტესტ-გეორგია"-ს გენერალური დირექტორი |